საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

CPV კოდი 50110000-ავტომობილებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვის

სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 12^1 მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე.

ქ. თბილისი 2014 წელი

სარჩევი

1. ინსტრუქცია გამარტივებული ელექტრონული ტენდერში მონაწილეთათვის -------- 3

2. ტექნიკური დავალება ---------- 4

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი ---------- 7

4. დანართი №1 რეკვიზიტები ---------- 11

5. დანართი №2 აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა ---------- 12

6. დანართი №3 ფასების ცხრილი ---------- 13

1. ინსტრუქცია გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეთათვის

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.
1.2. ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
1.3. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).
1.4. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.
1.5. ტენდერით მოთხოვნილი არ იქნება გამარჯვებილი პრეტენდენტის მხრიდან საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა.
1.6. ტენდერში გამოყენებული იქნება საგარანტიო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია (ელექტრონული გარანტია) სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება 120 კალენდარული დღით ტენდერისათვის „წინადადების მიღება დაწყებულია” სტატუსის მინიჭების ეტაპიდან.
1.7. ტენდერში არ იქნება გამოყენებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო ან/და სადაზღვევო გარანტია.
1.8. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

ინსტრუქტაჟი შესაძლებელია ასევე იხილოთ: http://procurement.gov.ge

სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან:

ილია კვეზერელი 593 136 881; 2 99 65 36

ლალი ჟვანია 598 640 750; 2 99 73 72

ქეთევან გაზაშვილი 555 329 926

2. ტექნიკური დავალება

2.1. შესყიდვის ობიექტი – სსიპ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის” ბალანსზე რიცხული 3 (სამი) ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.

2.1.1. მომსახურების გაწევის ძირითადი საექსპლუატაციო მახასიათებელი მოიცავს:
- პროფილაქტიკური და დიაგნოსტიკური სამუშაოების ჩატარებას;
- ავტომანქანების დროული, ოპერატიული და რიგგარეშე შეკეთებას;
- სათადარიგო ნაწილების შეკეთებას ან/და შეცვლას;
- საცხებ-საპოხი მასალების შეცვლას;
- დაზიანებული ნაწილების შეკეთებას ან/და შეცვლას;

2.1.2. პრეტენდენტმა მომსახურება უნდა გაუწიოს შემდეგ ავტომანქანებს:
VOLVO 850-R გამოშვების წელი 1995, ძრავის მოცულობა 2.4, მექანიკა, პინ კოდი YV1LW5507S2160931
VOLKSWAGEN PASSAT 1.8 T გამოშვების წელი 1998, ძრავის მოცულობა 1.8, მექანიკა, პინ კოდი WVWMA63B5WE423960
FORD SCORPIO 2.31 16V გამოშვების წელი 1998, ძრავის მოცულობა 2.3, ავტომატიკა, პინ კოდი WFOFXXGAGFWJ81404

2.1.3. პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება – **6891 (ექვსიათასრვაასოთხმოცდა თერთმეტი) ლარი;**
2.1.4. შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულება – **3500 (სამიათასხუთასი) ლარი;**

2.2. აუცილებელი პირობები:
2.2.1. პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს პრეისკურანტის საბოლოო ჯამური ღირებულების მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს სატენდერო განცხადებაში მითითებული პრეისკურანტის სავარაუდო ჯამური ღირებულებისა;
2.2.2. პრეტენდენტი ელექტრონული ვაჭრობისას წინადადების ფასის კლებას ახორციელებს პრეისკურანტის გასაწევი მომსახურების ან/და სათადარიგო ნაწილის, ერთეულზე ზღვრული ფასების და პრეისკურანტის სავარაუდო ჯამურ ღირებულებასთან მიმართებაში, იხ. პრეისკურანტი (დანართი №3);
2.2.3. მომსახურება გაწეული უნდა იქნეს ქ. თბილისის მასშტაბით მიმწოდებლის სერვის-ცენტრ(ებ)ში, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, დაკვეთიდან არაუმეტეს 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში. თუ ავტოტექმომსახურება ეხება დეფიციტური სათადარიგო ნაწილით უზრუნველყოფას შესაძლებელია მომსახურების გაწევის დრო განისაზღვროს მხარეთა შეთანხმებით;
2.2.4. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების სფეროში არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილების შესახებ და მის სარგებლობაში არსებული ავტოტექმომსახურების სერვისცენტრ(ებ)ის შესახებ მისამართის ჩვენებით;
2.2.5. ავტომობილების მომსახურება უნდა განხორციელდეს მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში დეფექტური აქტის შედგენის შემდეგ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გასაწევი მომსახურების ან/და სათადარიგო ნაწილების დეტალური აღწერა;

2.2.6. პრეისკურანტში ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების (მომსახურება ან/და სათადარიგო ნაწილი) რომელიმე ერთეულის არარსებობისას, აღნიშნული ერთეულის ფასი მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დგინდება შემსყიდველი ორგანიზაციისა და მიმწოდებლის შეთანხმებით, საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული პრეისკურანტის საბოლოო ჯამური ღირებულების 10%-ს;
2.2.7. განხორციელებულ მომსახურებაზე და სათადარიგო ნაწილებზე უნდა ვრცელდებოდეს გარანტია მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან მინიმუმ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაზიანება გამოწვეულია მექანიკური ზემოქმედებით. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა რომ მიმწოდებლის მიერ არ არის სრულყოფილად შესრულებული მომსახურება და/ან შეცვლილი ნაწილი აღმოჩნდა წუნდებული, მიმწოდებლი ვალდებულია აღმოჩენილი ხარვეზი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით;
2.2.8. თუ პრეისკურანტში მითითებულ რომელიმე პოზიციაზე პრეტენდენტი საქონელსა და მომსახურებას გვთავაზობს უფასოდ, ერთეულის ფასის შესაბამის გრაფაში უნდა ჩაიწეროს „0“. ამასთანავე, ფასების ცხრილში ნებისმიერ პოზიციაზე გრაფის შეუვსებლობა ჩაითვლება როგორც ჩანაწერი „0“ და არ ანაზღაურდება შემსყიდველის მიერ;
2.2.9. პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული საპოხი-საცხები მასალები და სათადარიგო ნაწილები უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს დღეისათვის ავტომობილებზე დადგენილ სტანდარტებს;

2.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადები
2.3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი – ქ. თბილისის მაშტაბით, პრეტენდენტის/მიმწოდებლის საწარმოო ფართზე.
2.3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა – ხელშეკრულების დადებიდან, ეტაპობრივად 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.4. ფასები, ანგარიშსწორების პირობები და ვადები:
2.4.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებულ სატენდერო წინადადების ფასში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯს და გადასახადს, მათ შორის დღგ-ს გათვალისწინებით. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას;
2.4.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში, ეტაპობრივად, რეალურად მიღებული მომსახურების მიხედვით, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენიდან და მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.
– წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება;

2.5. დაფინანსების წყარო: სსიპ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის” 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში.

2.6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა: განისაზღვრება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

2.7. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

2.7.1. რეკვიზიტები სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1-ის მიხედვით;

2.7.2. პრეისკურანტი სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №3-ის მიხედვით და Excel-ის ფორმატის დოკუმენტის სახით;

2.7.3. ინფორმაცია პრეტენდენტის ანალოგიური მომსახურების სფეროში არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილების შესახებ;

2.7.4. ინფორმაცია გასაწევ მომსახურებაზე და შესაცვლელ/შესაკეთებელ სათადარიგო ნაწილებზე გავრცელებული არანაკლებ 6 (ექვსი) თვიანი საგარანტიო ვადების შესახებ;

2.7.5. ინფორმაცია პრეტენდენტის სარგებლობაში არსებული ავტოტექმომსახურების სერვისცენტრ(ებ)ის შესახებ, მისამართის ჩვენებით;

2.7.6. ინფორმაცია ტექნიკური შესაძლებლობების შესახებ, ინფრასტრუქტურის და შრომითი რესურსების გათვალისწინებით;

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. თბილისი ———————— 2014.
წელი

ერთი მხრივ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის მოადგილე უფროსის **იოსებ ბაჩიაშვილის** სახით და მეორე მხრივ, ———————————————————— (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ———————— სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.
1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი უზრუნველყოფს ტექნიკურ დავალებაში მოთხოვნილი მომსახურება, ხოლო შემსყიდველი იღებს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი შესყიდვის ობიექტი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, რომელიც დაერთვება წინამდებარე ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ———————— ლარს.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.
4.2. გადახდის ფორმა – უნაღდო.
4.3. ანგარიშსწორება – დოკუმენტაციისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
5.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6. სტანდარტები

6.1. ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

6. საპატენტო უფლებები

7.1 საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9. ფასები

9.1. მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.
9.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.
9.3. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.
9.4. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.
10.3. ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მეორე მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით.
10.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11.ფორს–მაჟორი

11.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

11.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომელისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა

12.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
12.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1 %–ის ოდენობით.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. გარანტია

14.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით მითითებულ საქონელს არ გააჩნია რაიმე ნაკლი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმწოდებელი თავისი ხარჯითა და პასუხისმგებლობით უზრუნველყოფს არსებული ნაკლის აღმოფხვრას შემსყიდველის მიერ ნაკლის გამოვლენის თაობაზე
მისთვის (მიმწოდებლისთვის) გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) დღისა. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ნაკლის აღმოფხვრას ამ პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.2. საქონლის ნაკლის გამო წარმოშობილი პრეტენზიის წარდგენის პირობები, ისევე როგორც სხვა ურთიერთობები რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია საიდენტიფიკაციო კოდი: 203851536 რუსთაველის გამზირი 52, 0108, თბილისი, საქართველო ტელ.: 998891 ფაქსი: 996142	

ი. ბაჩიაშვილი

დანართი №1

4. რეკვიზიტები

1. პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

2. ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

3. პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

4. საიდენტიფიკაციო კოდი:

5. პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

6. ელექტრონული მისამართი:

7. ბანკის დასახელება და კოდი:

8. ანგარიშის ნომერი:

დანართი №2

5. აფიდავიტის ფორმა

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვანერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმონერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195^1 მუხლის შესაბამისად.

დანართი №3

6. პრეისკურანტი

1. FORD SCORPIO 2.31 16V; გამოშვების წელი 1998

№	საქონლისა და გასაწევი თამდევი მომსახურების დასახელება	განზომილება	ზღვრული ერთეულის ფასი	ერთეულზე მომსახურ. ზღვრული ფასი
1	წინა სამუხრუჭე ხუნდები	კომპლ.	55	15
2	უკანა სამუხრუჭე ხუნდები	კომპლ.	35	10
3	წინა სამუხრუჭე დისკის მოხეხვა	ცალი	*	30
4	უკანა სამუხრუჭე დისკის მოხეხვა	ცალი	*	30
5	წინა სამუხრუჭე ავზი	ცალი	65	15
6	უკანა სამუხრუჭე ავზი	ცალი	45	15
7	წინა ამორტიზატორის შეკეთება	ცალი	50	20
8	უკანა ამორტიზატორის შეკეთება	ცალი	50	15
9	ამორტიზატორის საყრდენი ბალიშები	ცალი	20	10
10	ამორტიზატორის მტვერდამცავი	ცალი	10	10
11	ბურთულა სახსარი ქვედა (შარავოი)	ცალი	55	15
12	ბურთულა სახსარი ზედა	ცალი	50	10
13	რულავოი კალონკა (აღდგენა)	ცალი	180	70
14	ჯვარა მილისა (კარდნის)	ცალი	25	20
15	კარდნის მუფთა	ცალი	25	20
16	გიტარა ზედა (აღდგენა)	ცალი	70	20
17	გიტარა ქვედა (აღდგენა)	ცალი	70	20
18	ნაკანეჩნიკები	ცალი	30	10
19	სტერჟენი წინა	ცალი	30	10
20	ანთების სანთელი	ცალი	15	10
21	ანთების კოჭა	ცალი	80	20
22	ძრავის ზეთი	ლიტრი	10	5
23	ძრავის ფილტრი	ცალი	10	5
24	ჰაერის ფილტრი	ცალი	25	5
25	ბენზო ნასოსი	ცალი	90	40
26	ბენზო ფილტრი	ცალი	25	10
27	საჭის ჰიდროგამაძლიერებლის ზეთი	ლიტრი	12	*
28	გადაცემათა კოლოფის ზეთი (ავტომატიკა)	ლიტრი	20	10
29	ხიდის ზეთი	ლიტრი	12	5
30	სალონის ფილტრი (კონდიციონერის)	ცალი	15	10
31	ანტიფრიზი (კონცენტრატი)	ლიტრი	13	*
32	სამუხრუჭე სითხე და დაჰაერება	ერთჯ.	10	10
33	ფრეონი (კონდიციონერის)	კომპლ.	*	80
34	ამძრავის დაშლა, აწყობა, აღდგენა	ცალი	60	60

	(სტარტერი)			
35	გენერატორის დაშლა ,აწყობა, აღდგენა	ცალი	60	70
36	წინა ბამპერის დამუშავება და შეღებვა	ცალი	*	180
37	პრისკის გაწმენდა	ცალი		70
38	ელექტროობა და დიაგნოსტიკა	მოთხ. შესაბამ	*	240
		ჯამი:	**1322**	**1195**
		სულ:	**2517**	

2. VOLVO 850-R; გამოშვების წელი 1995

№	საქოლნისა და გასაწევი თამდევი მომსახურების დასახელება	განზომილება	ზღვრული ერთეულის ფასი	ერთეულზე მომსახურ ზღვრული
1	წინა ამორტიზატორი მარჯვენა	ცალი	100	50
2	ძრავის რემენი	ცალი	70	50
3	გენერატორის ღვედი	ცალი	50	30
4	ყუმბარა მარჯვენა	ცალი	100	50
5	გიდრავლიკის ნასოსი	ცალი	130	30
6	წყლის რადიატორის შეკეთება	ცალი	*	80
7	ანტიფრიზი	ლიტრი	20	10
8	ძრავის ზეთი	ლიტრი	10	10
9	ძრავის ზეთის ფილტრი	ცალი	10	5
10	ელექტროობა დიაგნოსტიკა	მოთხ. შესაბამ	*	100
11	კალოტკები (წინა)	კომპლ.	80	20
12	გიტარა ქვედა (მარჯვენა, მარცხენა) აღდგენა	კომპლ.	180	20
13	გიტარა ზედა (მარჯვენა, მარცხენა) აღდგენა	კომპლ.	180	20
14	შარავოების აღდგენა	კომპლ.	120	40
15	წევის ბუნიკი (ნაკანეჩნიკი)	კომპლ.	80	20
16	ანთების სანთლები	კომპლ.	50	10
17	ანთების სანთლის ჩიბუხი	კომპლ.	50	10
18	საყრდენი (აპორნი)დისკები წინა	კომპლ.	100	50
19	ბალკა მარჯვენა	ცალი	100	30
		ჯამი:	**1430**	**635**
		სულ:	**2065**	

3. VOLKSWAGEN PASSAT 1.8 T; გამოშვების წელი 1998

№	საჭოლნისა და გასაწევი თამდევი მომსახურების დასახელება	განზომილება	ზღვრული ერთეულის ფასი	ერთეულზე მომსახურ. ზღვრული ფასი
1	სამუხრუჭე ხუნდი (წინა)	კომპლ	60	20
2	აკუმულიატორი	ცალი	230	*
3	გენერატორის შეკეთება	ცალი	100	30
4	ტურბოს შეკეთება	ცალი	250	50
5	საჭის წევა	ცალი	80	40
6	საწის წევის მტვერდამცავი	ცალი	5	5
7	ყუმბარა კომპლექტში	ცალი	100	20
8	გადაბმულობის ქურო (პლიტა)	ცალი	170	100
9	გადაბმულობის დისკი	ცალი	80	100
10	გადაბმულობის ქვედა ავზი	ცალი	30	20
11	პრისკის გაწმენდა	ცალი	*	80
12	წყლის რადიატორი (შეკეთება)	ცალი	*	100
13	ანტიფრიზი (კონცენტრატი)	ლიტრი	15	15
14	ძრავის ზეთი	ლიტრი	12	10
15	საჭის ჰიდროგასაძლიერებლის ზეთი	ლიტრი	12	5
16	ძრავის ზეთის ფილტრი	ცალი	15	10
17	ჰაერის ფილტრი	ცალი	15	10
18	სალონის ფილტრი (კონდიციონერის)	ცალი	15	10
19	საწვავის ფილტრი	ცალი	15	10
20	ამძრავის დაშლა, აწყობა, შეკეთება (სტარტერი)	ცალი	*	100
21	კონდიციონერის ფრეონი (სრული გამართვა)	*	80	*
22	საწვავის აბრატნი კლაპანი	ცალი	40	*
23	ბენზინის დაჩიკი	ცალი	20	10
24	დიაგნოსტიკა, ელექტროობა	მოთხოვ შესაბამ	*	120
25	წინა კარის ელექტროობის აღდგენა	ცალი	*	50
26	კარის დისტანციური პულტის აღდგენა	ცალი	*	50
		ჯამი:	**1344**	**965**
		სულ:	**2309**	
			4096	**2795**
	სულ ჯამი:		**6891**	

სულ პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებაა 6891 (ექვსიათასრვაასოთხმოცდა თერთმეტი) ლარი

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების

ფასი: ———————————————————————————————— ლარი
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

(პრეტენდენტის დასახელება)

(სახელი, გვარი, თანამდებობა)